



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



RURAL AND  
AGRICULTURAL  
POLICY AND  
DEVELOPMENT  
INSTITUTE

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა 2006-2015

თბილისი, 2017

კვლევა მომზადდა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. არსებული კვლევა განახორციელდა „სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ექსპერტის მამუკა გაჩეჩილაძის მიერ. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

## სარჩევი

რეზიუმე	4
შესავალი	4
მინის რესურსები	5
სასოფლო-სამეურნეო დანახარჯები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამომშვება	6
ნათესის ფართობები და საქონლის პოპულაცია	12
მოსავლიანობა	17
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამომშვება	23
საცალო ფასები	33
საერთაშორისო ვაჭრობა	39
საქართველო-ევროკავშირის შორის ვაჭრობა	42

## რეზიუმე

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად მცირე ფერმერები არიან ჩართული. სასოფლო-სამეურნეო მიწების 86.5%-ს 571,900 ოჯახი ამუშავებს. ამ ოჯახების უმეტესობას მცირე ნაკვეთები აქვთ. ოჯახური მეურნეობების 77% ფლობს მაქსიმუმ 1ჰა მიწას და ოჯახების მიწის ნაკვეთების საშუალო ზომა 1.2ჰა-ს შეადგენს. 2003-2015 წლებში სოფლის მეურნეობის დარგში ჩადებული თანხების ზრდას არ მოჰყოლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) პროპორციული ზრდა. შესაძლოა ამ გარემოების გამოწვევი ერთ-ერთი მიზეზია დაფინანსების ზრდა „კერძო“ საქონლის უზრუნველსაყოფად „საზოგადოებრივი“ საქონლის ხარჯზე. ანალიზის შედეგად დადგენილი იქნა, რომ „საზოგადოებრივი“ საქონლისთვის განუვლი ხარჯები იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროპორციულზე მეტ ზრდას, ხოლო „კერძო“ საქონლისთვის განუვლი ხარჯები - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროპორციულზე ნაკლებ ზრდას. ბოსტნეულის და ლობიოს გარდა, ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მატებას ძირითადად მოსავლიანობის ზრდა განაპირობებს. უარყოფითი დინამიკა შეინიშნება როგორც ბოსტნეულის ფართობის, ასევე მოსავლიანობის თვალსაზრისით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო სხვა ფაქტორებთან ერთად, სასუქების და პესტიციდების გამოყენების და სარწყავი და სადრენაჟო ფართობების ზრდას უნდა გამოეწვია მარცვლოვანი კულტურების, კარტოფილის და სხვა მოსავლიანობის ზრდა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური ბაღების ფართობები. ნეკატიური დინამიკა აღინიშნა ყველა თესლოვანი ხილის და უმეტესობა კურკოვანი ხილის წარმოებაში. თხილის, კენკრის, ციტრუსების, ყურძნის და სუბტროპიკული ხილის წარმოებაში აღინიშნა პოზიტიური დინამიკა. გაიზარდა ყველა სახის შინაური ცხოველების (ღორების გარდა) პოპულაციები, მაგრამ შემცირდა ხორცის წარმოება, ფრინველის ხორცის გარდა. ზრდის დინამიკა დაფიქსირდა რძის, კვერცხის და თაფლის წარმოებაში. მრავალწლიანი კულტურების და ბოსტნეულის და საკვები პროდუქტების საცალო ფასები შესამჩნევი სემონურობით ხასიათდება. მთლიანობაში, მრავალწლიანი კულტურების და ბოსტნეულის ფასები უფრო ცვალებადია, ვიდრე საკვები პროდუქტების, მაგრამ საკვები პროდუქტების ფასების ზრდა მეტია. სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებელი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის თვალსაზრისით უკეთესია სხვა დარგებთან შედარებით. ძირითადი საექსპორტო პროდუქციის პროპორცია უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე ძირითადი იმპორტირებული პროდუქციის. ძირითადი საექსპორტო ბაზრების და იმპორტის მიმწოდებელი ბაზრების კონცენტრაციის დონეები კი დაახლოებით მსგავსია.

## შესავალი

საქართველო არის საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე მცირე ქვეყანა, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონ ადამიანს შეადგენს (გენდერული თანაფარდობა შეადგენს 91 მამაკაც ყოველ 100 ქალზე). საშუალო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 3,765 აშშ დოლარს შეადგენს.

2014 წლის ივნისში ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან. 2013 წელს განახლდა ვაჭრობა რუსეთთან და მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. კორუფციის და ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგები ისევ ხელსაყრელი რჩება. 2016 წლის ივლისში ამოქმედებული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად მთავრობა გეგმავს ინტეგრაციის გაღრმავების კაპიტალის და მუშახელის უფრო პროდუქტიულ ინდუსტრიებში გადაადგილების ხელშეწყობის გზით, დამხმარე ფირმების დაფუძნებით ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზაციას, სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმჯობესებას ვაჭრობის ხელშეწყობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით.

შემცირების მიუხედავად სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან დარგს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), უცხოური ვალუტის შემოდინებაში და სიღარიბის შემცირებაში მისი წილის გათვალისწინებით. ამ დარგში დომინირებს ნატურალური მეურნეობა, რომელსაც ახასიათებს დაბალი პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და მოსახლეობის დაახლოებით 43% სოფლად ცხოვრობს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად მცირე ფერმერები არიან ჩართული. სასოფლო-სამეურნეო მიწების 86.5%-ს 571,900 ოჯახი ამუშავებს. ამ ოჯახების უმეტესობას მცირე ნაკვეთები აქვთ. ოჯახური მეურნეობების 77% ფლობს მაქსიმუმ 1ჰა მიწას<sup>1</sup>. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის დარგის დაფინანსება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე საქმიანობა მოიცავს ადამიანების, ცხოველების, და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვას, კვლევას, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას სამღვარგარეთ,

<sup>1</sup> სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 2014 წელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)



ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა ჯგუფების მხარდაჭერას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, ფინანსური რესურსების და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო მასალების

(სარგავი მასალები, თესვები, სასუქები, ქიმიკატები და სხვა) არსებობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ბოლო წლებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი სიღარიბის შემცირების და საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. სიღარიბის მაჩვენებელი, რომელიც გაანგარიშებული იქნა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის საფუძველზე (PPP) 2.5 აშშ დოლარი/დღეში სიღარიბის ზღვარის შესაბამისად, შემცირდა 46.7%-დან 2010 წელს 31.2%-მდე 2015 წელს. 2013-2014 წლებში სიღარიბის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი ზრდით მშენებლობის და ასასასაქონლო სექტორებში. 2010-2013 წლებში კი ღარიბ მოსახლეობაში შემოსავლების ზრდას მეტწილად სოციალური დახმარებების ზრდა განაპირობებდა. სოფლის მეურნეობის დარგში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად სოფლად მოსახლეობაში სიღარიბის დონე უფრო მაღალია.

საქართველოში ყველა მონაწილე მხარე მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ქმნის უზარმაზარ საინვესტიციო შესაძლებლობას და ამასთან არსებითი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის, კერძოდ დასაქმებისთვის, ზრდისთვის, სიღარიბის შემცირებისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის.

### 1. მიწის რესურსები

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად მცირე ფერმერები არიან ჩართული. სასოფლო-სამეურნეო მიწების 86.5%-ს 571,900 ოჯახი ამუშავებს. ამ ოჯახების უმეტესობას მცირე ნაკვეთები აქვთ. ოჯახური მეურნეობების 77% ფლობს მაქსიმუმ 1ჰა მიწას და ოჯახების მიწის ნაკვეთების საშუალო ზომა 1.2ჰა-ს<sup>1</sup> შეადგენს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობი 2.3 მილიონ ჰა-ს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიწების ყველაზე დიდ ნაწილს საძოვრები შეადგენს. მეორე ადგილზეა სახნავი მიწები, შემდეგ კვებადობის მიხედვით მოდის მრავალწლიანი ნათესების ფართობები და მდელოები. სასოფლო-სამეურნეო მიწების 45% კერძო საკუთრებაშია და 55% - სახელმწიფო საკუთრებაში. სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნათესების მინიმუმ 70% კერძო საკუთრებაშია, მდელოების დაახლოებით 45% და საძოვრების უმეტესობა - სახელმწიფო საკუთრებაში (ცხრილი #1)

**ცხრილი 1. სასოფლო-სამეურნეო მიწები და საკუთრების ტიპი**

	სულ, ჰა	კერძო საკუთრება, ჰა	სახელმწიფო საკუთრება, ჰა
სულ	2,318,779	1,035,316	1,283,463
სახნავ-სათესი მიწა	583,836	459,377	124,459
მრავალწლიანი	138,380	123,509	14,871
მდელო	134,575	74,576	59,999
საძოვარი	1,262,836	178,702	1,084,134
<b>ნიადაგის ტიპი</b>			
	მთლიანად	კერძო	სახელმწიფო
სახნავ-სათესი მიწა	25%	44%	10%
მრავალწლიანი	6%	12%	1%
მდელო	6%	7%	5%
საძოვარი	54%	17%	84%
<b>საკუთრების ტიპი</b>			
	კერძო საკუთრება	სახელმწიფო საკუთრება	
სულ	45%	55%	
სახნავ-სათესი მიწა	79%	21%	
მრავალწლიანი	89%	11%	
მდელო	55%	45%	
საძოვარი	14%	86%	

წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2015 წლებში სოფლის და ქალაქის მოსახლეობა შემცირდა შესაბამისად 24%-ით და 8%-ით. 2015 წელს სოფლად მოსახლეობა შეადგენდა 1,592,000 ადამიანს<sup>1</sup>. ამავე პერიოდში მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი შემცირდა, მაგრამ ნაკლებად, 10%-ით.


<sup>1</sup> სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 2014 წელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

<sup>1</sup> სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 2014 წელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

## 2. სასოფლო-სამეურნეო დანახარჯები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება

2006-2010 წლებში დაფიქსირდა კლების ტენდენცია სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების წილში სასოფლო სამეურნეო მშპ-ში, მთლიან ხარჯებში და მთლიან მშპ-ში. ამას მოჰყვა მკვეთრი ზრდა 2015 წელს, რაც განპირობებულია მთავრობის მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევის და ფინანსური დახმარების გაზრდით (დიაგრამა 1).


დიაგრამა 1. სასოფლო სამეურნეო ხარჯები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2015 წლებში სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს მრუდს ოდნავ ამოზნექილი ფორმა აქვს. 2006-2010 წლების შემცირების ტენდენციას მოჰყვა შესამჩნევი მატება 2015 წელს. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ნომინალური და რეალური მშპ-ს ზრდა შეადგენს 6%-სა და 1%-ს შესაბამისად (დიაგრამა 2).


**დიაგრამა 2. ნომინალური და რეალური სასოფლო-სამეურნეო მშპ**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2010 წლებში შემცირების შემდეგ სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში იზრდებოდა 2015 წლის ჩათვლით, თუმცა საანალიზო პერიოდში სოფლის მეურნეობის წილის ზრდა მშპ-ში ნეგატიურია და შეადგენს -4%-ს (დიაგრამა 3).


**დიაგრამა 3. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან მშპ-ში**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაში, რასაც მოჰყვება მემცენარეობა და მესაქონლეობა კლებადობის მიხედვით. ზრდის დონე ნომინალური და რეალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში, მემცენარეობაში, მესაქონლეობაში და სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაში შესაბამისად შეადგენს 6/2, 7/2, 5/0 და 14/9 პროცენტს. მემცენარეობის, მესაქონლეობის და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო მშპ-ში შესაბამისად შეადგენს 1%-ს, (-1)%-ს და 6%-ს. შესამჩნევი ზრდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაში აიხსნება მცირე ფერმერებისთვის რამოდენიმე წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული სახელმწიფო დახმარებით ხვნაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფაში (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება**




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით**

2006-2015 წლებში ნომინალური და რეალური ზრდა სასოფლო-სამეურნეო დამატებით ღირებულებაში შეადგენდა დაახლოებით 9%-სა და 4%-ს შესაბამისად. ყველაზე შესამჩნევი ნომინალური და რეალური ზრდა აღინიშნება სხვა საკვებ პროდუქტებში (18/13 პროცენტი), ფქვილი დამტებითი ღირებულებით (15/10 პროცენტი), მინერალური წყლები და უალკოჰოლო სასმელები (16/11 პროცენტი) და სასოფლო-სამეურნეო მომსახურება (14/9 პროცენტი). მესაქონლეობის (28%) და სხვა საკვების პროდუქტების (15%) წილი მთლიან დამატებით ღირებულებაში ყველაზე მაღალია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების და თამბაქოს წარმოების - ყველაზე მცირე და შეადგენს 2%-ს თითოეულისთვის (დიაგრამა 5, ცხრილი 2).



## დიაგრამა 5. სასოფლო-სამეურნეო დამატებით ღირებულება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით


## ცხრილი 2. სს დამატებითი ღირებულების ზრდა და სტრუქტურა

	ზრდა		წილი მთლიან სს დამატებით ღირებულებაში
	ნომინალური	რეალური	
მარცვლეული და სხვა	7%	2%	8%
სასმელისა და სუნელისთვის წარმოებული ხილი, კაკალი და სხვა	8%	3%	9%
ბოსტნეული, ხეხილი და სანერგე	4%	0%	6%
პირუტყვი	5%	1%	28%
სს მომსახურება	14%	9%	2%
მარცვლეული (ფქვილი და საკვები)	8%	3%	6%
ფქვილი	15%	10%	6%
სხვა საკვები პროდუქტები	18%	13%	15%
მინერალური წყალი და არაალკოჰოლური სასმელები	16%	11%	8%
ალკოჰოლური სასმელები	9%	4%	9%
თამბაქოს წარმოება	0%	-5%	2%
სს და საკვები მთლიანად	9%	4%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2015 წლებში ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს მრუდს ოდნავ ჩამნეჭლი ფორმა აქვს მნიშვნელოვანი ცვალებადობის გარეშე, ხოლო საერთო მშპ-ში ერთ სულ მოსახლეზე აღნიშნება ზრდის ტენდენცია. ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს ზრდა შეადგენს 4%-ს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საერთო მშპ-ს ზრდა - 7%-ს. ერთ მუშაკზე დამატებითი ღირებულების უცვლელიობის მიზეზს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში ზრდის მცირე ტემპები და ამ დარგში მომუშავეთა მუდმივი წილი (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. მშპ ერთ სულ მოსახლეზე და მისი ზრდის ტემპი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2003-2015 წლებში სოფლის მეურნეობის დარგში ჩადებული თანხების ზრდას არ მოჰყოლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების და ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა. შესაძლოა ამ გარემოების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია დაფინანსების ზრდა „კერძო“ საქონლის უზრუნველსაყოფად „საზოგადოებრივი“ საქონლის ხარჯზე და კერძო საქონლის უზრუნველსაყოფად ასიგნებების არათანამიმდევრული და არაეფექტური გამოყოფა. შესაძლოა „კერძო“ საქონლზე გაწეული ხარჯები სასარგებლო აღმოჩნდა დარში მოქმედი სხვადასხვა ოპერატორებისთვის, მაგრამ ნაკლებ საგარაუდოა, რომ მათ ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან ზრდას.


სოფლის მეურნეობის დარგისთვის გამოყოფილ ასიგნებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი რესურსები მიმართული იქნა „კერძო“ საქონლის მხარდასაჭერად „საზოგადოებრივი“ საქონლის ხარჯზე. 2003 წლის გარდა „საზოგადოებრივი“ საქონლზე გაწეული ხარჯები არ აღემატება მთლიანი დანახარჯების 42%-ს და 2003 წელს სოფლის მეურნეობაზე გაწეული მთლიანი ხარჯი მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე მომდევნო წლებში. „კერძო“ საქონლზე გაწეული ხარჯები მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ფერმერთა უზრუნველყოფა სასუქებით და სანავალი, სასოფლო-სამეურნეო სესხები, ექსპორტის ხელშეწყობა, სურსათის უვნებლობა, სარგავი მასალები და სხვა. ამ ასიგნებებს არათანამიმდევრული იყო და ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ცვალებადობით (დიაგრამა 7-8).

**დიაგრამა 7. სასოფლო სამეურნეო დანახარცები და სასოფლო სამეურნეო მშპ**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

**დიაგრამა 8. სასოფლო სამეურნეო დანახარცების პროპორცია „საზოგადოებრივ საქონელზე“, მთლიან სასოფლო სამეურნეო დანახარცებში**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს სოფლის მეურნეობის დარგში დახარჯული დაფინანსების მოცულობას და შემადგენლობას ამ დარგში ზრდაზე, შეფასდა „საზოგადოებრივ“ და „კერძო“ საქონელზე განეული ხარჯების წილი სასოფლო-სამეურნეო მშპ-ში. ანალიზი გვიჩვენებს, რომ „საზოგადოებრივ“ საქონელზე განეული დანახარცები, როგორცაა ვეტერინარია, მცენარეთა დაცვა და სურსათის უსაფრთხოება და მელიორაცია, პროპორციულზე მეტ პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს ზრდაზე, ხოლო „კერძო“

საქონლზე გაწეულ ხარჯებს პროპორციულზე ნაკლები პოზიტიური ზემოქმედება აქვს სასოფლო-სამეურნეო მშპ-ს ზრდაზე;


1 ერთეულის ცვლილება

- ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის და სურსათის უსაფრთხოების დაფინანსებაში გამოიწვევს 3.6% ზრდას სასოფლო-სამეურნეო მშპ-ში;
- მეღვინეობის დაფინანსებაში - 1.4%-იან ზრდას სასოფლო-სამეურნეო მშპ-ში;
- „კერძო“ საქონლის დაფინანსებაში - 0.3%-იანი ზრდას სასოფლო-სამეურნეო მშპ-ში.

3. ნათესის ფართობები და საქონლის პოპულაცია

20016-2015 წლებში ერთწლიანი კულტურების ნათესების ფართობის თითქმის 70%-ს მარცვლეული კულტურები შეადგენდა. შემდეგ ადგილებს კლებადი თანამიმდევრობით იკავებდა ბოსტნეული (9%) და კარტოფილი (8%) (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. ერთწლიანი კულტურების ნათესების ფართობი (10 წლის საშუალო მაჩვენებელი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

მარცვლოვანი კულტურების ნათესების ფართობის 64% -ზე სიმინდია დათესილი, 24%-ზე ხორბალი და 12%-ზე - ქერი (დიაგრამა 10).



**დიაგრამა 9. მარცვლოვანი კულტურების ნათესების ფართობი (10 წლის საშუალო მაჩვენებელი)**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ანალიზის პერიოდში ერთწლიანი ნათესების ფართობის ზრდა ნეგატიური იყო (-1%). ნეგატიური ზრდა განპირობებული იყო ძირითადად ერთწლიანი საფურაჟე კულტურების (-12%), ბოსტნეულის (-4%) და სხვა ერთწლიანი კულტურების (-7%) ნათესების ფართობის შემცირებით. დანარჩენი ერთწლიანი კულტურების ნათესები ან 1%-ით გაიზარდა ან უცვლელი დარჩა, გარდა ხორბლის ნათესის ფართობისა, რომელიც 1%-ით გაიზარდა. ნათესის ფართობების ცვალებადობა სხვადასხვაგვარია კულტურების მიხედვით. ყველაზე ცვალებადია ერთწლიანი კულტურების და ქერის ნათესების ფართობი და ყველაზე ნალებად ცვალებადია ხორბლის ნათესების ფართობები (ცხრილები 3-4, დიაგრამა 12-14).

ბოლო სამი წლის განმავლობაში მინიმუმ 2,196 ჰა-თი გაიზარდა ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური ბალების ფართობები. ახალი ბალების 86%-ს შეადგენს კაკლის (37%), ვაშლის (21%), თხილის (19%) და ნუშის (10%) ბალები (დიაგრამა 11).

**დიაგრამა 11. ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური ბალების შემადგენლობა**



წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

შინაური ცხოველებში ყველაზე ცვალებადია ღორების პოპულაცია და ყველაზე ნაკლებად ცვალებადი - მსხვილფეხა საქონლის პოპულაცია. ღორების პოპულაციის მნიშვნელოვანი ცვალებადობა განპირობებულია 2007 წელს ღორის აფრიკული ცხელების აფეთქებით და ამ დაავადების შემთხვევებით მომდევნო წლებში. შინაური ცხოველში ნეგატიური ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ ღორების შემთხვევაში (-6%).

ყველაზე შესამჩნევი პოზიტიური ზრდა აღინიშნა ფუტკრების სკების (12%) და შინაური ფრინველების (6%) რაოდენობაში. სკების და ფრინველების რაოდენობის ზრდა განპირობებულია თაფლზე მოთხოვნის მრდით და მეფრინველეობის დარგის აღდგენით 2006 წელს ფრინველის გრიპის აფეთქების შემდეგ (ცხრილი 3-4, დიაგრამა 15-16).

### ცხრილი 3. 10-წლიანი საშუალო მაჩვენებლები და ცვალებადობა

	საშუალო	ვარიაციის კოეფიციენტი
ყოველწლიური კულტურები	296	9
ხორბალი	51	9
ქერი	25	24
სიმინდი	132	12
ლობიო	7	13
კარტოფილი	22	13
ხეხილი	3	23
მრავალწლიანი ბალახები	9	29
ერთწლიანი ბალახები	3	70
ბოსტნეული	25	15
სხვა ერთწლიანი კულტურები	19	43
მსხვილფეხა საქონელი	1,129	10
რძე	594	8
ღორი	169	46
ცხვარი და თხა	772	13
ცხვარი	707	14
მეფრინველეობა	6,679	13
ფუტკრის სკა	300	33


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

### ცხრილი 4. 10-წლიანი ზრდის მაჩვენებლები

	ზრდა		ზრდა
ერთწლიანი კულტურები	-1%	ბოსტნეული	-4%
ხორბალი	-1%	სხვა ერთწლიანი კულტურები	-7%
ქერი	0%	მსხვილფეხა საქონელი	2%
სიმინდი	1%	რძე	1%
ლობიო	0%	ღორი	-6%
კარტოფილი	1%	ცხვარი და თხა	1%
ხეხილი	0%	ცხვარი	2%
მრავალწლიანი ბალახები	3%	მეფრინველეობა	6%
ერთწლიანი ბალახები	-12%	ფუტკრის სკა	12%


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 12. სხვადასხვა ერთნაირი კულტურებით ნათესი ფართობები




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 13. ხორბლით, ქერით და სიმინდით ნათესი ფართობები




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 14. ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახით ნათესი ფართობი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დიაგრამა 15. საქონლის რაოდენობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



**დიაგრამა 16. შინაური ფრინველი და ფურცრის სკები**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**4. მოსავლიანობა**

2006-2015 წლებში აღინიშნა პოზიტიური ზრდა ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობაში, სიმინდის და ბოსტნეულის გარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხორბლის, ქერის, ბალის და მრავალწლიანი საფურაჟე კულტურების მოსავლიანობაში. სიმინდის მოსავლიანობის ნეგატიური ზრდა შეადგენს -1%-ს, ხოლო ბოსტნეულის მოსავლიანობა უცვლელი დარჩა. ყველაზე დიდი ცვალებადობა დაფიქსირდა ხორბლის და ბალჩეული კულტურების მოსავლიანობაში, ხოლო ყველაზე მცირე - სიმინდის და ბოსტნეულის. მოსავლიანობის ცვალებადობა სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებულია ერთწლიანი კულტურების მოწყვლადობით უამინდობის მიმართ (ცხრილი 5-6, დიაგრამა 17-19).

წველადობის პოზიტიური ზრდა 4 პროცენტს შეადგენს, ხოლო მატყლის ნაპარსის ზრდა ნეგატიურია და -1%-ს შეადგენს. მთლიანობაში მესაქონლეობის პროდუქტიულობის მაჩვენებლები ნაკლებად ცვალებადია, ვიდრე ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა (ცხრილი 5-6, დიაგრამა 20).

**ცხრილი 5. საშუალო მოსავლიანობა და ცვალებადობა, 10 წლის საშუალო მონაცემები**

	საშუალო	ვარიაციის კოეფ.
ხორბალი	1.6	30
ქერი	1.4	20
სიმინდი	2.1	17
ლობიო	0.7	23
კარტოფილი	10.3	19
ხეხილი	16.3	30
მრავალწლიანი ბალახები	3.8	23
ყოველწლიური ბალახები	4.0	24
ბოსტნეული	6.9	10
რძე	1,237	9
მატყლი	3	7


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი 6. მოსავლიანობის ზრდა, 10 წლის საშუალო მონაცემები

კულტურა	ზრდა
ხორბალი	9%
ქერი	5%
სიმინდი	-1%
ლობიო	2%
კარტოფილი	1%
ხეხილი	8%
მრავალწლიანი ბალახები	6%
ყოველწლიური ბალახები	1%
ბოსტნეული	0%
რძე	4%
მატყლი	-1%


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 17. ხორბლის, ქერის და სიმინდის მოსავლიანობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 18. კარტოფილის, ბოსტნეულის, ხეხილის და ლობიოს მოსავლიანობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**დიაგრამა 19. ერთნლიანი და მრავალნლიანი ბალახის მოსავლიანობა**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**დიაგრამა 20. წველადობა და მატყლის წარმოება**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2006-2015 წლებში მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება მრავალნლიან კულტურებში გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ერთნლიანი კულტურებში. მრავალნლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში სს კულტურების საკვები ნივთიერებების გამოყენების ზრდა პოზიტიური იყო, ხოლო ერთნლიან კულტურებში სხვადასხვა ქიმიური სასუქის გამოყენების ზრდა - ნეგატიური (ცხრილი 7).

## ცხრილი 7. სასუქების და პესტიციდების გამოყენება

	ზრდა
პესტიციდი (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	4%
ფუნგიციდი (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	10%
ინსექტიციდი (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	-1%
სხვა (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	3%
პესტიციდი (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	12%
ფუნგიციდი (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	11%
ინსექტიციდი (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	15%
სხვა (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	34%
ყველა სასუქი (ათასი ტონა)	3%
აზოტის (ათასი ტონა)	-2%
სხვა (ათასი ტონა)	-19%
ყველა სასუქი (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	-1%
აზოტის (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	-1%
სხვა (ერთწლიანი კ./ათასი ჰა)	2%
ყველა სასუქი (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	2%
აზოტის (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	1%
სხვა (მრავალწლიანი კ./ათასი ჰა)	8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საანალიზო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო მასალების (როგორც პესტიციდების, ასევე სასუქების) იმპორტში აღინიშნა პოზიტიური ზრდა. პესტიციდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა პერბიციდებში და ინსექტიციდებში, ხოლო სასუქებს შორის - აზოტოვან და კომბინირებულ სასუქებში (ცხრილი 8, დიაგრამები 21-22).


## ცხრილი 8. პესტიციდების და სასუქების იმპორტი

	ზრდა
ფუნგიციდები	5%
პერბიციდები	28%
ინსექტიციდები	16%
სადემინფექციო საშუალებები	12%
როდენტიციდი	2%
კომბინირებული სასუქი	28%
კომბინირებული სასუქი	45%
ფოსფატის სასუქი	15%
კალიუმის სასუქი	3%
ცხოველური/მცენარეული სასუქი	4%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით




## დიაგრამა 21. პესტიციდების იმპორტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## დიაგრამა 22. სასუქის იმპორტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილში #9 წარმოდგენილია მნიშვნელოვანი კორელაცია ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის და ნათესების ფართობსა და პესტიციდების და სასუქების იმპორტის მოცულობებს შორის. ეს კავშირები შეიძლება წარმოადგენდეს მოსავლიანობის ზრდის მიზეზს.

**ცხრილი 9. კორელაციის მატრიცა**

	დამუშავებული ფართობი			იმპორტი								
	ფუნჯიცილები	ინსექტიცილები	აბოტის სასუქი	ფუნჯიცილები	ჰერბიცილები	ინსექტიცილები	საღებინფექციო საშუალებები	როლენტრიცილი	კომბინირებული სასუქი	აბოტის სასუქი	კალიუმის სასუქი	ცხოველური/მცენარეული სასუქი
ბოსტნეული	X	X										
ხეხილის ბაღები	X	X	X	X	X	X	X		X		X	X
მრავალწლიანი ბალახები	X	X										X
ხორბალი				X	X	X	X	X	X	X		
ქერი					X	X						
სიმინდი								X				
ლობიო								X				
ბოსტნეული												X
ერთწლიანი ბალახები				X	X	X	X		X	X	X	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით


2012-2016 წლებში სადრენაჟო და სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობები გაიზარდა შესაბამისად 25%-ით და 23%-ით. მნიშვნელოვანი პოზიტიური კორელაცია დაფიქსირდა მხოლოდ ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობას და მორწყული მიწის ფართობს შორის (ცხრილი 10, დიაგრამა 23).

**ცხრილი 10. სადრენაჟო და სარწყავი ფართობები, ჰა**

	ფართობი (ჰა)	
	სადრენაჟო	სარწყავი
2012	14,000	45,234
2013	19,584	61,924
2014	26,891	88,422
2015	28,375	100,643
2016	31,575	110,042
ზრდა	23%	25%

წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით


**დიაგრამა 23. სადრენაჟო და სარწყავი ფართობები, ჰა**



წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მთლიანობაში, საქართველოში მოსავლიანობის დონე დაბალია. დიაგრამაზე #24 ნაჩვენებია 2014 წელს საქართველოში პომიდვრის, ხორბლის, კარტოფილის მოსავლიანობა და წველადობა, როგორც მემობელი ქვეყნების და ევროკავშირის ქვეყნების მოსავლიანობის და წველადობის პროცენტული ოდენობა.

**დიაგრამა 24. მოსავლიანობის დონე საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით**




წყარო: გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით

**5. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება**

**ერთწლიანი კულტურები**

2006-2015 წლების პერიოდში საშუალოდ მარცვლოვანების წარმოების მოცულობაში სიმინდის პროცენტული ოდენობა ყველაზე მაღალი იყო (71%), მეორე ადგილზე იყო ხორბალი (20%), ქერი (8%) და შვრია (1%) (დიაგრამა 25).

**დიაგრამა 25. სხვადასხვა მარცვლოვანის პროპორცია მთლიანად მარცვლოვანების წარმოებაში, 10 წლის საშუალო მონაცემი**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2915 წლების პერიოდში ერთწლიანი კულტურების წარმოების ზრდა პოზიტიური იყო, ლობიოს, ერთწლიანი საფურაჟე კულტურების და ბოსტნეულის გარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური ზრდა დაფიქსირდა ხორბლეულ და ბალჩეულ კულტურებში. ერთწლიან კულტურებში ცვალებადობის ყველაზე მაღალი დონით ხასიათდება შვრია და ერთწლიანი საფურაჟე კულტურები, ხოლო ბოსტნეული ყველაზე ნაკლებად ცვალებადია (ცხრილები 11-12, დიაგრამები 27-28).

ბოსტნეულის მთლიანი მოცულობის 69 პროცენტს შეადგენს მოპიდორი (36%), კომბოსტო (18%) და კიტრი (15%). ბოსტნეულის წარმოებაში ყველაზე დიდი ცვალებადობა ახასიათებს სტაფილოს და ჭარხალს, ყველაზე ნაკლები - პომიდორს, ხახვს და კომბოსტოს. მთლიანობაში ბოსტნეულის და სხვა ერთწლიანი კულტურების ცვალებადობის დონე მსგავსია (დიაგრამა 25).

**დიაგრამა 25. სხვადასხვა ბოსტნეულის პროპორცია მთლიანი ბოსტნეულის წარმოებაში, 10 წლის საშუალო მონაცემი**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ბოსტნეულის კულტურების უმეტესობის წარმოებაში დაფიქსირდა ნეგატიური ზრდა. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნება ბადრიჯნის წარმოებაში და ყველაზე მნიშვნელოვანი მატება - სტაფილოს წარმოებაში. პოზიტიური ზრდის შედარებით მაღალი დონე დაკავშირებულია პროდუქციის წლიური მოცულობის ცვალებადობის შედარებით მაღალ დონესთან.

**მრავალწლიანი კულტურები**

საანალიზო პერიოდში ხილის გამოშვების დონეს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება. დაფიქსირდა ნეგატიური ზრდა თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოებაში, ატმის და გარგარის გარდა. ზრდის ტენდენცია აღინიშნა კენკრის, თხილის, სუბტროპიკული ხილის და ციტრუსების წარმოებაში. მრავალწლიან სს კულტურებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა ჩაის წარმოებაში. მთლიანობაში, დიდი მატება, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური, დაკავშირებულია დიდ ცვალებადობასთან ერთწლიანი სს კულტურების წარმოებაში. მრავალწლიანი სს კულტურების წარმოების ცვალებადობა უფრო მაღალია, ვიდრე ერთწლიანი კულტურების. ყველაზე მეტად ცვალებადია ატმის წარმოება და ყველაზე ნაკლებად ცვალებადი - სუბტროპიკული ხილის (ცხრილი 11-12, დიაგრამა 33-36).

### მესაქონლეობის პროდუქცია

ნეგატიური ზრდა აღინიშნა ყველა სახის ხორცის წარმოებაში, ფრინველის ხორცის გარდა, ხოლო რძის, კვერცხის, თაფლის და მატყლის წარმოებაში პოზიტიური ზრდა დაფიქსირდა. როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ზრდის მაღალი დონე დაკავშირებულია წლიური წარმოების მაღალ დონესთან. მესაქონლეობის პროდუქციის წარმოების ცვალებადობა ნაკლებია, ვიდრე ერთწლიანი და მრავალწლიანი სს კულტურების. ცვალებადობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა ცხვრის/თხის ხორცისთვის და ყველაზე დაბალი - ძროხის რძისთვის (ცხრილი 11-12, დიაგრამა 37-39).

### ცხრილი 11. 10-წლიანი საშუალო წარმოება და ვარიაციის კოეფიციენტი

პროდუქტი	საშუალო	ცვალებადობის კოეფიციენტი	პროდუქტი	საშუალო	ცვალებადობის კოეფიციენტი
ხორბალი	77	33	ალუბალი/ მყავე-ალუბალი	4	28
ქერი	33	32	გარგრი	1	39
შვრია	3	62	ატამი	14	50
სიმინდი	275	24	ტყემალი	14	39
ლობიო	9	22	კაკალი	7	37
კარტოფილი	228	17	თხილი	28	27
ხეხილი	55	32	სუბტროპიკული ხილი	24	9
მრავალწლიანი ბალახები	33	42	კენკრა	1	41
ერთწლიანი ბალახი	12	65	სხვა ხილი	1	89
ბოსტნეული	182	8	ყურძენი	186	25
პომიდორი	65	13	მანდარინი	71	29
კიტრი	27	23	ფორთოხალი	2	50
ჭარხალი	5	46	ლიმონი	2	29
კომბოსტო	32	22	ჩაი	4	48
წინაკა	4	28	ხორცი	58	21
ნიორი	5	39	საქონლის ხორცი	24	23
ხახვი	15	21	ღორის ხორცი	16	42
სტაფილო	9	24	ცხვრის ხორცი/ თხის ხორცი	5	38
სტაფილო	6	61	ფრინველის ხორცი	13	20
ბადრიჯანი	10	28	ძროხის რძე	605	6
სხვა ბოსტნეული	5	33	ცხვარი/ თხის რძე	8	17
ვაშლი	57	48	კვერცხი	460	20
მსხალი	16	19	მატყლი	2	13
კომში	1	48	თაფლი	3	31
ქლიავი	10	37			


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

## ცხრილი 12. 10-წლიანი ზრდის მაჩვენებელი

პროდუქტი	ზრდა	პროდუქტი	ზრდა	პროდუქტი	ზრდა
ხორბალი	7%	მწვანილი	3%	ყურძენი	6%
ქერი	5%	სტაფილო	12%	მანდარინი	6%
შვრია	18%	ბადრიჯანი	-7%	ფორთოხალი	7%
სიმინდი	1%	სხვა ბოსტნეული	-3%	ლიმონი	6%
ლობიო	-3%	სულ ხილი	0%	ჩაი	-12%
კარტოფილი	2%	ვაშლი	-2%	ხორცი	-3%
ხეხილი	8%	ატამი	-5%	საქონლის ხორცი	-5%
მრავალწლიანი ბალახი	9%	კომში	-7%	ღორის ხორცი	-7%
ერთწლიანი ბალახი	-11%	ქლიავი	-10%	ცხვრის ხორცი/ თხის ხორცი	-5%
ბოსტნეული	-1%	ალუბალი/ მგავე-ალუბალი	-6%	ფრინველის ხორცი	6%
პომიდორი	-1%	გარგარი	0%	სხვა ხორცი	0%
კიტრი	4%	ატამი	12%	ძროხის რძე	1%
ჭარხალი	5%	ტყემალი	-7%	ცხვარი/ თხის რძე	3%
კომბოსტო	-5%	კაკალი	5%	კვერცხი	10%
წინაკა	-4%	თხილი	5%	მატყლი	2%
ნიორი	4%	სუბტროპიკული ხილი	2%	თაფლი	11%
ხახვი	-3%	კენკრა	9%		

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით


## დიაგრამა 27. ხორბლის, ქერის, შვრიისა და სიმინდის წარმოება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური




დიაგრამა 28. კარტოფილის, ბოსტნეულის, ლობიო და ხეხილის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 29. პომიდვრის, კიტრის, ჭარხალის და კომბოსტოს წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 30. სტაფილოს, ბადრიჯნის და სხვა ბოსტნეულის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 31. წიწაკის, ხახვის, ნიორისა და მწვანილის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 32. საკვები ბალახის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 33. ატმის, ტყემლის, ქლიავის და ვაშლის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 34. კომპის, ალუბლის, გარგარის და ატმის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 35. კაკლის, თხილის, კენკრის და სუბტროპიკული ხილის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 36. ყურძნის, ლიმონის, მანდარინის, ჩაის და ფორთოხლის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 37. ხორცის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 38. ძროხის რძის და ცხვრის/თხის რძის წარმოება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 39. კვერცხის, მატყლის და თაფლის წარმოება




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით



## 6. საცალო ფასები


საცალო ფასები ხასიათდება მნიშვნელოვანი სეზონურობით. ამის მიზეზია ადგილობრივი პროდუქციის ხელმისაწვდომობა და ადგილობრივი მოხმარების სტრუქტურის სეზონურობა. ზოგადად, დაბალი ფასები დაკავშირებულია ადგილობრივი პროდუქციის ხელმისაწვდომობის პიკთან და მაღალი ფასები - იმპორტირებული ექვივალენტების დომინირებით ბაზარზე (დიაგრამა 40-46).

დიაგრამა 40. ატმის, ვაშლის და კივის ფასების სეზონურობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 41. მანდარინის, მსხლის და კაკლის ფასების სეზონურობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 42. ბადრიჯნის, კარტოფილის და კიტრის ფასების სეზონურობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 43. ლობიოს, მწვანილის და ნიორის ფასების სეზონურობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 44. პომიდვრის, სტაფილოს, ჭარხალის და ხახვის ფასების სეზონურობა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 45. კვერცხის, მგესუმბირის ზეთის, სიმინდის ფქვილის და ხორბლის ფქვილის ფასების სეზონურობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით


დიაგრამა 46. საქონლის ხორცის, ღორის ხორცის, ყველის და რძის ფასების სეზონურობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით


ადგილობრივი საცალო ფასების დონე ზემოქმედებს იმპორტზე. ფასების ზრდა მიჩნეულია ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის ხელმისაწვდომობის შემცირების ინდიკატორად და წარმოქმნილი სიცარიელე იმპორტით შეივსება. ფასების ცვლილების იმპორტზე ზემოქმედების სადემონსტრაციოდ შეფასებული იქნა პომიდვრის და ვაშლის ფასებს და ამ პროდუქტების იმპორტს შორის კავშირი. დიაგრამებზე #47-48 ნაჩვენებია ფასების და იმპორტის მნიშვნელოვანი სეზონურობა.

დიაგრამა 47. პომიდვრის ყოველთვიური იმპორტი და საცალო ფასები



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 48. ვაშლის ყოველთვიური იმპორტი და საცალო ფასები



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

**ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა:**

- პომიდვრის იმპორტში დაახლოებით 53%-იანი ცვალებადობა აიხსნება ადგილობრივი პომიდვრის საცალო ფასების ცვლებადობით;
- იმპორტირებულ პამიდორზე მოთხოვნის ელასტიურობა ფასისმიერ ელასტიურობას წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ პომიდვრის საცალო ფასების 1%-იანი მატება გამოიწვევს 3.5%-იან მატებას პომიდვრის იმპორტის მოცულობაში;
- ვაშლის იმპორტის დაახლოებით 36%-იანი ცვლილება აიხსნება ვაშლის ადგილობრივი საცალო ფასების ცვალებადობით;
- იმპორტირებულ ვაშლზე მოთხოვნის ელასტიურობა ფასისმიერ ელასტიურობას წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ ვაშლის საცალო ფასების 1%-იანი მატება გამოიწვევს 3.4%-იან მატებას ვაშლის იმპორტის მოცულობაში.

**მრავალწლიანი სს კულტურები**

2006-2015 წლების პერიოდში მრავალწლიანი სს კულტურების ფასები გაიზარდა, კვიის გარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა მსხლის ფასებში და ყველაზე მცირე - ვაშლების ფასებში. ატმის და კვიის ფასებში დაფიქსირდა ყველაზე დიდი ცვალებადობა, ხოლო ვაშლის და მანდარინის ფასებში - ყველაზე მცირე (ცხრილი13).

ცხრილი 13. მრავალწლიანი კულტურების საშუალო ფასი და ცვალებადობა

პროდუქტი	9 წელი		ზრდა
	საშუალო	ვარიაციის კოეფ.	საშუალო
ატამი	2.08	41	4%
ვაშლი	1.76	22	1%
კვი	4.82	44	-1%
მანდარინი	1.57	26	6%
მსხალი	2.03	29	7%
კაკალი	19.30	11	5%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

## ბოსტნული კულტურები

2006-2015 წლებში ყველა ბოსტნულის ფასში დაფიქსირდა პოზიტიური ზრდა. ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნა ნივრის ფასში და ყველაზე მცირე - კიტრის, მწვანილის და პომიდვრის ფასებში. ბოსტნულის ფასების ცვალებადობა განსხვავებულია. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვალებადობა დაფიქსირდა ბადრიჯნის ფასებში და ყველაზე მცირე - ლობიოს ფასებში (ცხრილი 14).

### ცხრილი 14. ბოსტნულის საშუალო ფასი და ცვალებადობა

პროდუქტი	9 წელი		ზრდა
	საშუალო	ვარიაციის კოეფ.	საშუალო
ბადრიჯანი	2.52	60	2%
კარტოფილი	0.99	18	3%
კიტრი	2.15	53	1%
ლობიო	3.66	6	4%
მწვანილი	0.41	37	1%
ნიორი	4.47	22	7%
პომიდორი	2.40	43	1%
სტაფილო	1.47	21	4%
ჭარხალი	1.33	18	2%
ხახვი	1.10	15	4%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

## საკვები პროდუქტები

საკვები პროდუქტების ფასების ცვალებადობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მრავალწლიანი და ბოსტნული კულტურების ფასების. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვალებადობა აღინიშნა ყველის ფასებში და ყველაზე ნაკლები - ძროხის ხორცის ფასებში. მთლიანობაში საკვები პროდუქტების ფასები უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ბოსტნულის და მრავალწლიანი კულტურების ფასები. ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ძროხის და ღორის ხორცის ფასებში, ყველაზე მცირე - სიმინდის ფქვილის ფასებში (ცხრილი 15).

### ცხრილი 15. საკვები პროდუქტების საშუალო ფასი და ცვალებადობა

პროდუქტი	9 წელი		ზრდა
	საშუალო	ვარიაციის კოეფ.	საშუალო
კვერცხი	2.88	8	2%
მშესუმზირის ზეთი	3.52	8	3%
სიმინდის ფქვილი	1.79	7	1%
ხორბლის ფქვილი	1.52	5	5%
რძე	1.92	9	7%
საქონლის ხორცი	9.95	3	8%
ყველი	6.77	15	5%
ღორის ხორცი	10.49	6	8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით



## 7. საერთაშორისო ვაჭრობა


2006-2015 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა უფრო მეტი იყო, ვიდრე ექსპორტის მთლიანი მოცულობის ზრდა. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდა უფრო მცირე იყო, ვიდრე იმპორტის მთლიანი მოცულობის ზრდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში გაიზარდა 1%-ით. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში შემცირდა 2%-ით. იმპორტის მთლიანი მოცულობის ექსპორტის მთლიანი მოცულობით გადაფარვა 1%-ს შეადგენს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემთხვევაში ეს ინდიკატორი 4%-ს უდრის (ცხრილი 16, დიაგრამა 49-50).

ცხრილი 16. ვაჭრობის ინდიკატორების ზრდა

	ზრდა
მთლიანი ექსპორტი	10%
სასოფლო სამეურნეო ექსპორტი	11%
მთლიანი იმპორტი	9%
სასოფლო სამეურნეო იმპორტი	7%
სასოფლო სამეურნეო ექსპორტი/ მთლიანი ექსპორტი	1%
სასოფლო სამეურნეო იმპორტი/ მთლიანი იმპორტი	-2%
მთლიანი იმპორტის გადაფარვა	1%
სასოფლო სამეურნეო იმპორტის გადაფარვა	4%


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 49. სს ვაჭრობის წილი მთლიან ვაჭრობაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით


**დიაგრამა 50. იმპორტის ექსპორტით გადაფარვა**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2006 -2015 წლების პერიოდში 10 ძირითადი საექსპორტო საქონელი სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის მთლიანი მოცულობის 74%-ს შეადგენდა. სამი მთავარი საექსპორტო პროდუქტი იყო თხილი (22%), ღვინო (14%) და მინერალური წყალი (12%) (დიაგრამა 51).


**დიაგრამა 51. ძირითადი საექსპორტო პროდუქტები**



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

მთლიანი ექსპორტის 77% 10 ძირითად საექსპორტო ბაზარზე გადიოდა. სამი მთავარი საექსპორტო ბაზარია უკრაინა (18%), ამერბაიჯანი (12%) და რუსეთი (11%) (დიაგრამა 52).


დიაგრამა 52. ძირითადი საექსპორტო ბაზრები



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

2006-2015 წლების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმპორტის მთლიანი მოცულობის 35%-ს შეადგენდა 10 ძირითადი იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. სამ მთავარ იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს წარმოადგენს (თამბაქო 8%), ხორბალი (6%) და მშესუმზირის ზეთი და ქათმის გაყინული ნაწილები (თითოეული 4%) (დიაგრამა 53).


დიაგრამა 53. ძირითადი იმპორტირებული პროდუქტები



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიანი იმპორტის 72% 10 ძირითადი საიმპორტო ბაზრიდან შემოდის, მათგან სამი მთავარი ბაზარია უკრაინა (22%), რუსეთი (19%) და თურქეთი (10%) (დიაგრამა 54).

**დიაგრამა 54. ძირითადი საიმპორტო ბაზრები**




წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

## 8. საქართველო-ევროკავშირის შორის ვაჭრობა

2006-2015 წლების პერიოდში საქართველოს და ევროკავშირის შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობაში დაფიქსირდა პოზიტიური ზრდა. საქართველოში/საქართველოდან ევროკავშირში/ევროკავშირიდან ექსპორტის და იმპორტის ზრდა შეადგენდა 12%-ს თითოეულისთვის. 2007 წლის გარდა ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითი იყო. -2% ნეგატიური ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირიდან იმპორტის გადაფარვაში საქართველოდან ექსპორტით (დიაგრამა 55).


**დიაგრამა 55. საქართველოს და ევროკავშირის შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა**



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირიდან იმპორტის მოცულობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის მთლიან მოცულობაში. 2006-2015 წლებში ევროკავშირში ექსპორტის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში შემცირდა 0.4%-ით, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტის წილი საქართველოში იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო საქონლის მოცულობაში გაიზარდა 4%-ით (დიაგრამა 56).


**დიაგრამა 56. საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის წილი საქართველოს მთლიან სს ვაჭრობაში**



წყარო: საერთაშორისო საგაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

ევროკავშირში ექსპორტის 93%-ს შეადგენს 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქტი. ექსპორტის მთლიან მოცულობაში თხილის, ყურძნის ღვინის და არაალკოჰოლური სასმელების წილი შეადგენს შესაბამისად 61%-ს, 6%-ს და 6%-ს (დიაგრამა 57).

**დიაგრამა 57. ევროკავშირში ძირითადი საექსპორტო პროდუქტები**



წყარო: საერთაშორისო საგაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

ყველაზე შესამჩნევი მატება დაფიქსირდა ვისკის და ღვინის/ალკოჰოლური სასმელების ექსპორტში, ხოლო ხე-ტყის მასალის და არაალკოჰოლური სასმელების ექსპორტის ზრდა ნეგატიურია (ცხრილი 17).


**ცხრილი 17. ზრდის მაჩვენებელი ძირითად საექსპორტო პროდუქტებში**

საექსპორტო პროდუქტები	ზრდა
არაალკოჰოლური სასმელები	-38%
ხე-ტყის მასალა	-3%
ვაშლის წვენი	7%
ხილი, თხილის ფქვილი	34%
ვისკი	61%
ღვინო/ყურძნის ალკოჰოლური სასმელები	54%
თხილი, დამუშავებული	11%
მინერალური წყალი	27%
ყურძნის ღვინო	16%
თხილი, ნაჭუჭით	16%

წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

საექსპორტო პროდუქტებს შორის, ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტის ყველაზე დიდი წილი თხილზე და ვისკიზე მოდის. სხვა ძირითადი საექსპორტო პროდუქტების (ყურძენი, ღვინო/ ალკოჰოლური სასმელები, არაალკოჰოლური სასმელები და მინერალური წყალი) ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე 20%-ზე ნაკლებია (დიაგრამა 58).


**დიაგრამა 58. ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტთან მიმართებაში**



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

იმპორტის მთლიან მოცულობაში 10 ძირითადი იმპორტირებული პროდუქტის წილი 36%-ს შეადგენს. სოსისების და სიგარეტების იმპორტი შეადგენს 5%-ს თითოეული, ბავშვთა კვების და ღვინის/ალკოჰოლური სასმელების იმპორტი კი - 4%-ს თითოეული (დიაგრამა 59).

**დიაგრამა 59. ევროკავშირიდან იმპორტირებული ძირითადი პროდუქტები**



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით

ევროკავშირიდან იმპორტში ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა რძის და ნაღების იმპორტში, ხოლო სიგარეტების და ალკოჰოლური სასმელების/ღვინის იმპორტში ზრდა ნეგატიურია (ცხრილი 18).

**ცხრილი 18. ზრდის მაჩვენებლები ძირითადი იმპორტირებული პროდუქტებისთვის**


პროდუქტები	ზრდა
სოსისი	1%
რძე და ნაღები	86%
სიგარეტი	-1%
ალაო	10%
შოკოლადი	5%
ღვინო და ყურძნის ალკოჰოლური სასმელები	-4%
ვისკი	14%
ბავშვის საკვები	17%
საკვები პროდუქტები	39%
ფრინველის დაჭრილი ნაწილები	20%

წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით



ძირითადი იმპორტირებული პროდუქტების (ქათმის გაყინული ნაწილები და სიგარეტები) წილი ევროკავშირიდან მთლიან იმპორტში 20%-ზე ნაკლებია (დიაგრამა 60).

**დიაგრამა 60. ევროკავშირიდან ძირითადი იმპორტირებული პროდუქტების წილი საქართველოს მთლიან იმპორტში**



წყარო: საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით